ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.49221758**
თარიღი:**24/06/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 77

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის შემცირების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ივნისის 48-4822157113 წერილი, რომლითაც ითხოვს თანხმობას შპს ,, სანატორიუმ წყალტუბოს ‘’ დირექტორის განცხადების საფუძველზე, დასასვენებელი პარკის მოწყობის მიზნით (მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები, გრძელი სკამები, ბავშვთა კუთხე, განხორციელდება ადრე არსებული აუზის რეაბილიტაცია, იმოძრავებს გადასაადგილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები) 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N29.08.34.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ: 3673.23 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად. აღნიშნული უძრავი ქონება (7094.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები. სპორტის სასახლე) საკრებულოს თანხმობით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის’’. იმისათვის, რომ შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს’’ იჯარის უფლებით გადაეცეს 3673.23 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უნდა შემცირდეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის’’ უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის ’’უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის შემცირების შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი